ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21ე1109-22

"12" 08 2022 წ.

დადგენილება №001154
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

12.08.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა, განვიხილე 2022 წლის 12 აგვისტოს №001154 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. "არქიგრამი ცინცაძე"-ს (ს/ნ №405296120; დირექტორი - ლანა ქაჯაია; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ., №57) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №57-ში, ს/კ №01.10.14.028.089-ზე, შ.პ.ს. "არქიგრამი ცინცაძე"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4730632 29.10.2019წ. (№4862636 17.02.2020წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: -5.40 და -2.70 ნიშნულებზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. შენობის პერიმეტრზე ბლოკის კედლის ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედელი, გაზრდილია კედლის კვეთი. დამატებით მოწყობილია რიგელები. "ბ" ღერძზე რიგელს მონაცვლებული აქვს ადგილი. "ბ-გ" და "7-8" მონაკვეთებში მცირედით შეცვლილია კოლონების მდებარეობა, კოლონების ნაწილი მობრუნებულია, კედლები ნაწილობრივ გასქელებულია. "1-2" მონაკვეთში შეცვლილია კიბის მარშის მიმართულება. "1" და "ბ" ღერძების კვეთაში დამატებით მოწყობილია ლიფტის შახტისთვის განკუთვნილი ღიობები. "7-8" ნიშნულზე "ბ" ღერძზე კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობები.

2022 წლის 12 აგვისტოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №001154 შემოწმების აქტი, „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია მხარის №10/01221303525-17 10.05.2022წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "არქიგრამი ცინცაძე"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №57-ში, ს/კ №01.10.14.028.089-ზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4730632 29.10.2019წ. (№4862636 17.02.2020წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. **"არქიგრამი ცინცაძე"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №57-ში, ს/კ №01.10.14.028.089-ზე, IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის;

2. შ.პ.ს. **"არქიგრამი ცინცაძე"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "არქიგრამი ცინცაძე"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

ზაზა კვიციანი

საგადახდო დავალება No 1003

Transfer Order No 1003

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

ვალუტირების თარიღი/Value Date: 17/08/2022 რეფერენსი/reference: 14189950259

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს არქიგრამი ცინცაძე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE30BG0000000103089348GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს არქიგრამი ცინცაძე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405296120

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
17/08/2022

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N001154 შესაბამისად (12.08.2022)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე

შტამპი:
"ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 1003

Transfer Order No 1003

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

ვალუტირების თარიღი/Value Date: 17/08/2022 რეფერენსი/reference: 14189950259

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს არქიგრამი ცინცაძე

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE30BG0000000103089348GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს არქიგრამი ცინცაძე

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405296120

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
17/08/2022

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N001154 შესაბამისად (12.08.2022)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე

შტამპი:
"ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01192953380**
თარიღი: **22/10/2019**
პინი: **1388**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 10 სექტემბრის თქვენი N 17-0119274277-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N 57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.089) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1677286) პოზიციის დაფიქსირებას, დამატებით გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი, ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება და N 10/01192902493-16 წერილით წარმოდგენილი სამუშაო მასალები.

დღეისათვის, საპროექტო ტერიტორიის **საზოგადოებრივი ტრანსპორტით** მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია - მარჯანიშვილის ქუჩის მომსახურება იგეგმება მეორადი ქსელით. განახლებული სქემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზ. ტრანსპორტის ხარისხს მთელი ქალაქის მასშტაბით.

მიმდებარე ტერიტორიაზე დამაკმაყოფილებელია **საქვეითე ინფრასტრუქტურა. საგზაო ინფრასტრუქტურის** გამტარუნარიანობის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე ზოგიერთი მიმართულება გადატვირთულია თუმცა, საქვეითე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქალაქის ძირითად სატრანსპორტო დერეფნების მიმდებარე განაშენიანებებში მოსალოდნელია მოდალურ განაწილებაში ინდივიდუალური მანქანით გადაადგილების წილის შემცირება. შესაბამისად, მოსალოდნელია აღნიშნული კვანძების განტვირთვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა²“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

Traffic Industry Time

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 ნოემბრის #01183101571 წერილის შესაბამისად, ქ .თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.089)

მრავალფუნქციური კომპლექსის

მშენებლობის

ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების კვლევა

შემსრულებელი: შპს „თი აი თი“
დირექტორი: მარიამ დიხამინჯია

თბილისი 2019

კვლევა ჩატარდა: 04.01.2019 – 10.01.2019

Traffic Industry Time

სარჩევი

1.საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა 11

1.1. საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა (გამტარუნარიანობა, ნაკადები, რეზერვი) და სქემა 12

1.2. საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და მისაწვდომობის რუკა 30

1.3. საზ. ტრანსპორტის მისაწვდომობა, სივრცითი დაფარვა და მოცულობის კვლევა 32

2. ინფორმაცია პროექტზე 37

2.1. საპროექტო შენობის საერთო ფართობი/კ2 საანგარიშო ფართობი (ფუნქცია) 37

2.2. საპროექტო ტერიტორიის მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა რაოდენობა 38

3. საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (პერსპექტიული) მგზავრობები 40

3.1. საპროექტო ტერიტორიის მიზიდული და გენერირებული მზგავრობების რაოდენობა 41

3.2. მგზავრობების მოდალური განაწილება 43

3.3. მგზავრობების სივრცითი განაწილება 51

4. ზეგავლენის შეფასება 59

4.1. ზეგავლენის შეფასება საგზაო ინფრასტრუქტურაზე 59

4.2. ზეგავლენის შეფასება საქვეითე ინფრასტრუქტურაზე 59

4.3. ზეგავლენის შეფასება საზ. ტრანსპორტზე 60

5. რეკომენდაციები 66

6. გამოყენებული ლიტერატურა 68

Traffic Industry Time

შემსრულებელი: შპს ,,თი აი თი“
დირექტორი: მარიამ დიხამინჯია

დამკვეთი
შპს „არქიგრამი“
დირექტორი: პაატა ნუცუბიძე

Traffic Industry Time

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01183101571**
თარიღი: **06/11/2018**
პინი: **9781**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2018 წლის 22 ოქტომბრის N01182851532-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ს. ცინცაძის ქუჩა N57-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.10.14.028.089; 01.10.14.028.032; 01.10.14.028.177 და 01.10.14.028.176) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის „1" პუნქტის და მე-9 მუხლის „5" შესაბამისად წარმოსადგენია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

დოკუმენტაციას თანდართული მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა იყოს შეთანხმებული ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან. სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა იყოს წარმოდგენილი A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ ცინცაძის ქუჩას არ ემსახურება შესაბამისი ინტენსივობის სატრანზიტო საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მეტრო, ტრამვაი, BRT). უახლოესი მ/ხ „ტექნიკური უნივერსიტეტი" მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 1კმ-ზე შორ მანძილზე. მსგავს ტერიტორიაზე მაღალი ინტენსივობის საშშენებლო განვითარება არ არის მიზანშეწონილი, რადგან გამოიწვევს მოდალურ განაწილებაში (მგზავრობების საერთო რაოდენობაში ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის წილი) ინდივიდუალური მგზავრობის მაღალ წილს. აღნიშნული, თავის მხრივ, უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ქუჩის რეზერვზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თვლის რომ ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ზონა 6-ის ქალაქმშენებლობითი პარამეტრის მაჩვენებელი (კ2-2,5) უკვე არის საკმაოდ მაღალი ტერიტორიის სატრანსპორტო უზრუნველყოფასთან შედარებით. შესაბამისად, გეგმარებითი დავალების მოთხოვნილი გადამეტებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრით დამტკიცება მიზანშეწონილი არ არის.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საპროექტო ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მნიშვნელოვანი საფეხმავლო კავშირი, რომელიც ცინცაძის ქუჩას აკავშირებს საირმის ჩიხსა და მიცკევიჩის ქუჩასთან. შესაბამისად, დაგეგმარებისას, აუცილებელია აღნიშნული ბილიკის გათვალისწინება და მასზე საჯარო წვდომის უზრუნველყოფის შენარჩუნება.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 4 ფურცელი
დანართი 2: 1 ფურცელი
დანართი 3: 1 ფურცელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა**		
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი	<u>ქუჩები:</u> ს. ციცაძის ქუჩა; დ. გამრეკელის ქუჩა <u>კვანძები:</u> N1. ს. ციცაძის ქუჩა - დ. გამრეკელის ქუჩა N2. დ. გამრეკელის ქუჩა - ა. მიცკევიჩის ქუჩა	საჭიროა მოწიშნული ქუჩებისა და კვანძების ***გამტარუნარიანობის გამოთვლა, არსებული ნაკადების დათვლა და რეზერვის განგარიშება.*** საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და მირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველჰყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის მირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ს. ციცაძის ქუჩაზე არსებულ ავტობუსის უახლოეს გაჩერებამდე მისასვლელი გზა, საქვეითე გადასვლელების გათვალისწინებით.*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.*** ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო



			მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, მოცულობა და რეზერვი		საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომსახურე საზ. ტრანსპორტის ***სივრცითი დაფარვის, მოცულობების და რეზერვის გამოთვლა.*** საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებული მომსახურების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ დადგინდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების არსებული რეზერვი. რეზერვის გამოთვლისა და ზეგავლენის შეფასების შემდგომ გამოვლინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ-2 კოეფიციენტის სააწგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა /ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე		

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო წაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით. საპროგნოზო მგზავრობების მოდალური განაწილების დადგენა უნდა მოხდეს თბილისის ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მკრო ან მიკრო***

დაწართი 1: კვლევის კომპონენტები

			ზონის მოწაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია. თბილისის შიწამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მოწაცემთა ბაზა და აწგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4. საპროგნოზო გენერირებული/მიზიდული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება			
	• გზათა ქსელზე (მათ შორის მირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასტრუქტურაზე		კვლევის წიწა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი გაწაშენიაწების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე გაწისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი გაწაშენიაწების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ გაწაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შიწამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მოწაცემთა ბაზა და აწგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218


დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
საპროექტო ტერიტორია
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
ჰიდროგრაფია
N
1:2500
480200
480400
480600
4619000
4618800

Traffic Industry Time



1.საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა

კვლევის მიზანი და სტრუქტურა

წარმოდგენილი კვლევის მიზანს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 6 ნოემბრის #01183101571 წერილის შესაბამისად, წარმოადგენს ცინცაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.089) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა საგზაო და საქვეითე ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კუთხით.

ობიექტის მდებარეობა ავტობუსის გაჩერებებთან და მეტროსთან მიმართებით



1.1 საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და სქემა

საკვლევი არეალი საპროექტო ტერიტორიასთან მიმართებით



არსებული სიტუაციის აღწერა:

საკვლევი არიალი მოიცავს

ქუჩებს: 1.ცინცაძის ქუჩას და 2. გამრეკელის ქუჩას

კვანძებს: 1. ს. ცინცაძის ქუჩა–დ. კამრეკელის ქუჩა და 2. დ. გამრეკელის ქუჩა–ა. მიცკევიჩის ქუჩა.

ცინცაძის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებელი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	4
3	ქუჩის სიგრძე	1827 მ.
4	ქუჩის სიგანე	11მ–20მ
5	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის სამოსის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	არის
8	ტროტუარის სიგანე	1.5მ – 2.5 მ
9	ტრორუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
10	პარკირება	კი
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	11 გაჩერება (##3270, 3043, 3269, 3044, 3046, 3268, 3048, 3047, 3049, 3267 და #3272)
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი
13	ვერტიკალური საგზაო მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	კი (4 ობიექტი)
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

გამრეკელის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებელი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2
3	ქუჩის სიგრძე	480 მ.
4	ქუჩის სიგანე	15მ - 16 მ
5	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის სამოსის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტროტუარის სიგანე	1.7მ - 4.5 მ
9	ტრორუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
10	პარკირება	კი
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	არა
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი
13	ვერტიკალური საგზაო მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	კი (3 ობიექტი)
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

კვანძები:

1. ს. ცინცაძის ქუჩა–დ. კამრეკელის ქუჩა

#	მითითება	ს. ცინცაძის ქუჩა	დ. კამრეკელის ქუჩა
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	4	2
3	ქუჩის სიგანე (მეტრი)	20	16
4	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის სამოსის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	კი	კი
9	შენიშვნა		

2. დ. გამრეკელის ქუჩა–ა. მიცკევიჩის ქუჩა.

#	**მითითება**	დ. გამრეკელის ქუჩა	ა. მიცკევიჩის ქუჩა
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2	4
3	ქუჩის სიგანე (მეტრი)	15	18
4	დაშვებული სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის სამოსის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	კი	კი
9	შენიშვნა		

ანგარიშები

ერთი მიმართულების ზოლების ჯგუფში მოძრავი ავტომობილების რაოდენობა დაყვანილ ერთეულებში და მოძრაობის ინტენსივობის საანგარიშო საათური პიკური მნიშვნელობა (მსუბ. ავტ./სთ):

დაყვანის სარეკომენდაციო კოეფიციენტები გზების ერთ დონეზე კვეთისას შუქნიშნით რეგულირების დროს :

სატრანსპორტო საშუალება	დაყვანის კოეფიციენტი სარეკომენდაციო
მსუბუქი ავტომობილი	1
სატვირთო ავტომობილი ტვირთამწეობით, ტ:	
2-მდე	1,2
2-6	1,5
6 და მეტი	1,6
მიკროავტობუსი	1,1
ავტობუსი:	
მცირე ტევადობის	1,4
დიდი ტევადობის	1,8
შეუღლებული ავტობუსი (ტროლეიბუსი)	2,4
ავტომატარებელი	2,2

გადინების ნაკადის საანგარიშო მნიშვნელობა და გამტარუნარიანობა შუქნიშნით რეგულირების დროს ზოლების ცალკეული ჯგუფისათვის:

გადინების ნაკადი გამოითვლება ფორმულით:

$$S = S_0 \cdot n \cdot f_ს \cdot f_ქ \cdot f_პ \cdot f_ა \cdot f_ტ \cdot f_უ \cdot f_{მარც.მ} \cdot f_{მარჯ.მ} \cdot f_{მარც.ქ} \cdot f_{მარჯ.ქ}$$

სადაც: S_0 არის ზოლის გადინების იდეალური ნაკადი და ტოლია 1900 დაყ.ავტ/სთ;

n - მოცემულ ჯგუფში ზოლების რაოდენობა;

$f_ს$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სამოძრაო ზოლის სიგანეს;

$f_ქ$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქანობის სიდიდეს;

$f_პ$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქუჩაში პარკირების ადგილების არსებობას;

$f_ა$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია გაჩერებაზე ავტობუსების გაჩერებით;

$f_ტ$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის ტიპს;

$f_უ$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სამოძრაო ზოლებზე დატვირთვის უთანაბრობას;

$f_{მარც.მ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია ჯგუფის ზოლებში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მაცხნივ მოხვევით;

$f_{მარჯ.მ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია ჯგუფის ზოლებში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მარჯვნივ მოხვევით;

$f_{მარც.ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეითების მიერ შექმნილ შეფერხებებს მაცხნივ მოხვევისას;

$f_{მარჯ.ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეითების მიერ შექმნილ შეფერხებებს მაჯვნივ მოხვევისას;

რეგულირებად გზაჯვარედინზე ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობა გამოითვლება ფორმულით:

$$P_{ji} = \frac{S_{ji} \cdot g_i}{C},$$



სადაც: P_{ji} არის j ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობა რეგულირების ფაზის i განმავლობაში, დაყ. ერთ./სთ.;

S_{ji} - j ზოლების ჯგუფის გადინების ნაკადი რეგულირების ფაზის i განმავლობაში, დაყ. ერთ./სთ.;

g_i – i რეგულირების ფაზის ეფექტური ხანგრძლივობა, წმ.;

C - რეგულირების ციკლის ხანგრძლივობა, წმ..

დატვირთულობის კოეფიციენტი გამოთვლება ფორმულით:

$$z = \frac{N_{პიკ.}^{სთ.}}{P_{ji}}$$



კვანძი N1

1	მიცკევიჩი გამრეკელი			08.01.2019	
ნაკადის მიმართულება	მსუბუქი ავტომობილი	სატვირთო ავტომობილი	ავტობუსი	მიკროავტობუსი	დრო
1.1	235	0	0	0	08:30/09:30
1.2	194	0	3	0	08:30/09:30
1.3	65	0	0	0	08:30/09:30
2.1	102	0	2	0	08:30/09:30
2.2	36	0	0	0	08:30/09:30
2.3	41	0	0	0	08:30/09:30
3.1	215	5	0	0	08:30/09:30
3.2	478	3	0	0	08:30/09:30
3.3	165	2	0	0	08:30/09:30
4.1	498	1	0	0	08:30/09:30
4.2	312	3	0	0	08:30/09:30
4.3	35	0	2	0	08:30/09:30
1.1	217	0	0	0	18:30/19:30
1.2	220	0	2	0	18:30/19:30
1.3	52	0	0	0	18:30/19:30
2.1	95	0	2	0	18:30/19:30
2.2	24	0	0	0	18:30/19:30
2.3	29	0	0	0	18:30/19:30
3.1	174	3	0	0	18:30/19:30
3.2	430	2	0	1	18:30/19:30
3.3	150	1	0	0	18:30/19:30
4.1	547	3	0	3	18:30/19:30
4.2	234	2	0	0	18:30/19:30
4.3	25	0	1	0	18:30/19:30

Traffic Industry Time



Traffic Industry Time



დილის პიკური საათი

მიმართულება	მსუბუქი			სატვირთო			ავტობუსი			მიკროავტობუსი			N დაყვანილი	N= სთ/პიკური (Nდაყ/0,92)
	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე		
1.1+1.2+1.3	494	1	494	0	1.6	0	3	1.6	4.8	0	1.1	0	499	542
2.1+2.2+2.3	179	1	179	0	1.6	0	2	1.6	3	0	1.1	0	182	198
3.1+3.2+3.3	858	1	858	10	1.6	16	0	1.6	0	0	1.1	0	874	950
4.1+4.2+4.3	845	1	845	4	1.6	6	2	1.6	3	0	1.1	0	855	929

გადინების ნაკადი მიმართულებებისთვის

მიმართულება	S_0	n	fსატ	fქ	fპ	fა	fტ	fუ	fმარც.მ	fმარჯვ.მ	fმარც.ქვ	fმარჯვ.ქვ	S
1.1+1.2+1.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	1	0.95	1	1	2995
2.1+2.2+2.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	1	0.95	1	1	2995
3.1+3.2+3.3	1900	2	0.98	1	0.99	0.9	0.9	0.95	0.85	0.95	1	1	2545
4.1+4.2+4.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	0.85	0.95	1	1	2545

გამტარუნარიანობა

მიმართულება	S	შუქნიშნის მწვანე სიგნალი (წმ) g_i	ციკლის ხანგრძლივობა C	P_{ji}
1.1+1.2+1.3	2995	30	94	956
2.1+2.2+2.3	2995	30	94	956
3.1+3.2+3.3	2545	37	98	961
4.1+4.2+4.3	2545	30	94	812

დატვირთულობა

მიმართულება	Nსთ/პიკური	P_{ji}	Z
1.1+1.2+1.3	542	956	**0.57**
2.1+2.2+2.3	198	956	**0.21**
3.1+3.2+3.3	950	961	**0.99**
4.1+4.2+4.3	929	812	**1.14**

Traffic Industry Time

საღამოს პიკური საათი

მიმართულება	მსუბუქი			სატვირთო			ავტობუსი			მიკროავტობუსი			N დაყვანილი	N= სთ/პიკური (Nდაყ/0,92)
	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე		
1.1+1.2+1.3	489	1	489	0	1.6	0	2	1.6	3.2	0	1.1	0	492	535
2.1+2.2+2.3	148	1	148	0	1.6	0	2	1.6	3	0	1.1	0	151	164
3.1+3.2+3.3	754	1	754	6	1.6	10	0	1.6	0	1	1.1	1	765	831
4.1+4.2+4.3	806	1	806	5	1.6	8	1	1.6	2	3	1.1	3	819	890

გადინების ნაკადი მიმართულებებისთვის

მიმართულება	S_0	n	fსატ	fქ	fპ	fა	fტ	fუ	fმარც.მ	fმარჯვ.მ	fმარც.ქვ	fმარჯვ.ქვ	S
1.1+1.2+1.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	1	0.95	1	1	2995
2.1+2.2+2.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	1	0.95	1	1	2995
3.1+3.2+3.3	1900	2	0.98	1	0.99	0.9	0.9	0.95	0.85	0.95	1	1	2545
4.1+4.2+4.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.95	0.85	0.95	1	1	2545

გამტარუნარიანობა

მიმართულება	S	შუქნიშნის მწვანე g_i სიგნალი (წმ)	C ციკლის ხანგრძლივობა	P_{ji}
1.1+1.2+1.3	2995	30	94	956
2.1+2.2+2.3	2995	30	94	956
3.1+3.2+3.3	2545	37	98	961
4.1+4.2+4.3	2545	30	94	812

დატვირთულობა

მიმართულება	Nსთ/პიკური	P_{ji}	Z
1.1+1.2+1.3	535	956	**0.56**
2.1+2.2+2.3	164	956	**0.17**
3.1+3.2+3.3	831	961	**0.86**
4.1+4.2+4.3	890	812	**1.10**

Traffic Industry Time

კვანძი N 2

2	ცინცაძე-გამრეკელი			08.01.2019	
ნაკადის მიმართულება	მსუბუქი ავტომობილი	სატვირთო ავტომობილი	ავტობუსი	მიკროავტობუსი	დრო
1.1	245	2	5	6	
1.2	192	5	0	3	
2.1	85	0	0	2	
2.2	275	0	0	2	
2.3	201	3	0	0	08:30
3.1	245	5	0	0	
3.2	398	4	6	15	09:30
3.3	125	2	0	3	
4.1	15	0	0	5	
4.2	186	2	0	0	
4.3	47	0	0	0	
1.1	237	1	3	5	
1.2	180	3	0	2	
2.1	74	0	0	1	
2.2	263	0	0	1	
2.3	199	2	0	0	18:30
3.1	275	4	0	0	
3.2	414	3	2	10	19:30
3.3	114	1	0	2	
4.1	7	0	0	1	
4.2	179	1	0	0	
4.3	43	0	0	0	

Traffic Industry Time



Traffic Industry Time

დილის პიკური საათი

მიმართულება	მსუბუქი			სატვირთო			ავტობუსი			მიკროავტობუსი			N დაყვანილი	N= სთ/პიკური (Nდაყ/0,92)
	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე		
1.1+1.2	437	1	437	7	1.6	11	5	1.6	8	9	1.1	10	466	507
2.1+2.2+2.3	561	1	561	3	1.6	5	0	1.6	0	4	1.1	4	570	620
3.1+3.2+3.3	768	1	768	11	1.6	18	6	1.6	10	18	1.1	20	815	886
4.1+4.2+4.3	248	1	248	2	1.6	3	0	1.6	0	5	1.1	6	257	279

გადინების ნაკადი მიმართულებებისთვის

მიმართულება	S_0	n	fსატ	fქ	fპ	fა	fტ	fუ	fმარც.მ	fმარჯვ.მ	fმარც.ქვ	fმარჯვ.ქვ	S
1.1+1.2	1900	3	0.98	1	0.99	1	0.9	0.9	1	0.85	1	1	3808
2.1+2.2+2.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.9	0.95	0.85	1	1	2411
3.1+3.2+3.3	1900	3	0.98	1	0.99	0.93	0.9	0.9	0.85	0.95	1	1	3617
4.1+4.2+4.3	1900	2	0.98	1	0.99	0.93	0.9	0.9	0.85	0.95	1	1	2411

გამტარუნარიანობა

მიმართულება	S	შუქნიშნის მწვანე სიგნალი (წმ) g_i	ციკლის ხანგრძლივობა C	P_{ji}
1.1+1.2	3808	56	98	2176
2.1+2.2+2.3	2411	46	78	1422
3.1+3.2+3.3	3617	56	98	2067
4.1+4.2+4.3	2411	30	94	770

დატვირთულობა

მიმართულება	Nსთ/პიკური	P_{ji}	Z
1.1+1.2	507	2176	**0.23**
2.1+2.2+2.3	620	1422	**0.44**
3.1+3.2+3.3	886	2067	**0.43**
4.1+4.2+4.3	279	770	**0.36**

Traffic Industry Time

საღამოს პიკური საათი

მიმართულება	მსუბუქი			სატვირთო			ავტობუსი			მიკროავტობუსი			N დაყვანილი	N= სთ/პიკური (Nდაყ/0,92)
	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე	ინტენსიურობა	დაყვანის კოეფიციენტი	დაყვანილი მსუბუქ ერთეულამდე		
1.1+1.2	417	1	417	4	1.6	6	3	1.6	4.8	7	1.1	8	436	474
2.1+2.2+2.3	536	1	536	2	1.6	3	0	1.6	0	2	1.1	2	541	588
3.1+3.2+3.3	803	1	803	8	1.6	13	2	1.6	3	12	1.1	13	832	905
4.1+4.2+4.3	229	1	229	1	1.6	2	0	1.6	0	1	1.1	1	232	252

გადინების ნაკადი მიმართულებებისთვის

მიმართულება	S_0	n	fსატ	fქ	fპ	fა	fტ	fუ	fმარც.მ	fმარჯვ.მ	fმარც.ქვ	fმარჯვ.ქვ	S
1.1+1.2	1900	3	0.98	1	0.99	1	0.9	0.9	1	0.85	1	1	3808
2.1+2.2+2.3	1900	2	0.98	1	0.99	1	0.9	0.9	0.95	0.85	1	1	2411
3.1+3.2+3.3	1900	3	0.98	1	0.99	0.93	0.9	0.9	0.85	0.95	1	1	3617
4.1+4.2+4.3	1900	2	0.98	1	0.99	0.93	0.9	0.9	0.85	0.95	1	1	2411

გამტარუნარიანობა

მიმართულება	S	შუქნიშნის მწვანე g_i სიგნალი (წმ)	C ციკლის ხანგრძლივობა	P_{ji}
1.1+1.2	3808	56	98	2176
2.1+2.2+2.3	2411	46	78	1422
3.1+3.2+3.3	3617	56	98	2067
4.1+4.2+4.3	2411	30	94	770

დატვირთულობა

მიმართულება	Nსთ/პიკური	P_{ji}	Z
1.1+1.2	474	2176	**0.22**
2.1+2.2+2.3	588	1422	**0.41**
3.1+3.2+3.3	905	2067	**0.44**
4.1+4.2+4.3	252	770	**0.33**



ქუჩის გამტარუნარიანობა

კონკრეტულ საგზაო პირობებში ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობის P გაანგარიშებითი მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$P = P_{max} n f_b f_{\text{სატვ}} f_i f_{\text{დაბრკ.პ}} f_{\text{ავტობ}} f_{\text{ტერ}} f_{\text{გ.რად}} f_{\text{სიჩ.შ}} \ ,$$

სადაც: P_{max} – მაქსიმალური პრაქტიკული გამტარუნარიანობა, დაყვ.ავტ./სთ;

n – მოძრაობის ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით;

f_b – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მოძრაობის ზოლის სიგანეს;

$f_{\text{სატვ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ნაკადში სატვირთო ავტომობილების წილს;

f_i – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გრძივ ქანობებს;

$f_{\text{დაბრკ.პ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს იმ სატრანსპორტო საშუალებების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს, რომლებიც ახორციელებენ პარკირებას;

$f_{\text{ავტობ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ავტობუსების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს;

$f_{\text{ტერ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის ტიპს;

$f_{\text{გ.რად}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გეგმაში მრუდის რადიუსს;

$f_{\text{სიჩ.შ}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სიჩქარის შეზღუდვას.

										ქუჩების გამტარუნარიანობის ანგარიში		
მრავალზოლიანი მოძრაობისთვის		n	f_b	$f_{\text{სატვ}}$	f_i	$f_{\text{დაბრკ}}$	$f_{\text{რად}}$	$f_{\text{ტერ}}$	$f_{\text{სიჩ.შ}}$	$f_{\text{ავტო}}^{\text{X}}$		
ქუჩა	p მა ქს.	მომ.ზოლის რაოდენობა	ზ/ს იგანის კოეფიციენტი	ნაკადში სატვირთოების წილი	ქანობი	პარკირება	რადიუსი	ტერიტორიის ტიპი	სიჩ. შეზღუდვა	ავტობუსების გაჩერების განლაგების ტიპი	გზის გამტარუნარიანობა	ზოლის გამტარუნარიანობა
1 მონაკვეთი 63-ე კპ მიმდ.	1800	2	1	0.96	0.98	0.86	1	0.9	1	0.99	2595	1298
2 მონაკვეთი 55-ე კპ მიმდ.	1800	4	0.98	0.96	1	0.9	1	0.9	1	0.99	5432	1358
3 მონაკვეთი 45-ე კპ მიმდ.	1800	4	0.93	0.96	1	0.9	1	0.9	1	0.99	5155	1289
4 მონაკვეთი 38-ე კპ მიმდ.	1800	4	0.93	0.96	1	0.89	1	0.9	1	0.99	5097	1274
გამრეკელის მონაკვეთი მიცკევიჩის ქუჩიდან ალ.ყაზბეგის გამზირამდე	1800	1	0.98	0.99	1	0.72	1	0.9	1	1	1132	1132

1.2. საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და მისაწვდომობის რუკა

ინვენტარიზაციის რუკა

საქვეითე ინფრასტრუქტურა შახლოს გაჩერებებამდე



საძვეთე მისაწვდომობა



1.3. საზ. ტრანსპორტის მისაწვდომობა, სივრცითი დაფარვა და მოცულობის კვლევა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ცინცაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.089). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მეტროსადგური (მ/ს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი) მდებარეობს დაახლოებით 900 მეტრ მანძილზე. ხოლო უახლოეს ავტობუსის #3046 და #3268 გაჩერებებამდე, 50 მეტრი და 90 მეტრია.

M2 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა



M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა

სივრცითი დაფარვის რუკა ტრანსპორტებისთვის M 3


N
W
E
S
საპოლიტო ტერიტორია
ნაძალადევი
დიდუბე
ვაკე
ნუცუბიძე
ძველი
ორხევი
ჯიხაიშის
საკონტროლო
საავტომობილო
საავტომობილო
საავტომობილ

Traffic Industry Time

M2 და M3 კატეგორიის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სივრცითი დაფარვა





N	კატეგორია	ტევადობა	ინტერვალი	სიხშირე	მოცულობა (მგზავრი/სთ)	საშუალო დატვირთულობა	რეზერვი (მგზავრი)
მიმართულება N1							
3268		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
92	M3	43	12	5	215	132	83
100	M2	21	6.7	9	189	101	88
27	M2	21	7.5	8	168	75	93
50	M2	21	12	5	105	77	28
81	M2	21	8.6	7	147	97	50
	ჯამი						342

N	კატეგორია	ტევადობა	ინტერვალი	სიხშირე	მოცულობა (მგზავრი/სთ)	საშუალო დატვირთულობა	რეზერვი (მგზავრი)
მიმართულება N2							
3046		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
92	M3	43	15	4	172	141	31
58	M3	43	20	3	129	95	34
100	M2	21	12	5	105	62	43
27	M2	21	15	4	84	50	34
50	M2	21	15.0	4	84	65	19
81	M2	21	12.0	5	105	78	27
	ჯამი						188

მიმართულება N1 #3069		
ნომერი	რაოდენობა/სთ	სიხშირე (წთ)
92	5	12
220	2	30
27	8	8
171	3	20
81	7	9
ჯამი		1.3

ავტობუსი საათში	სიხშირე (წთ)	მომსახურების შეფასება
>6	0-10	A
3-6	10-20	B
2-3	20-30	C

მიმართულება N2 #3268		
ნომერი	რაოდენობა/სთ	სიხშირე (წთ)
92	4	15
58	3	20
220	5	12
27	4	15
171	5	12
81	5	12
ჯამი		1.4

ავტობუსი საათში	სიხშირე (წთ)	მომსახურების შეფასება
>6	0-10	A
3-6	10-20	B
2-3	20-30	C
1-0	30-60	D

2. ინფორმაცია პროექტზე

2.1. საპროექტო შენობის საერთო ფართობი/კ2 საანგარიშო ფართობი (ფუნქცია)

სუფთა საცხოვრებელი ფართობი:

4828,0 მ²

ერთ საძინებლიანი:
32 ბინა
ორ საძინებლიანი:
36 ბინა

საოფისე ფართობი :
2313,4 მ²

კომერციული სავაჭრო ფართობი:
751,9 მ²

ინფორმაცია მოწოდებულია დამკვეთის მიერ

2.2. საპროექტო ტერიტორიის მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა რაოდენობა

მაცხოვრებელთა რაოდენობა კვადრატულობის მიხედვით შეადგენს 552 ადამიანს

არქიტექტურული პროექტი		
საცხოვრებელი/ სუფთა ფართობი	B	4828
დატვირთულობის კოეფიციენტი	18,6 მ2*	
მაცხოვრებელების რაოდენობა	D	D=4828/18.6=260

* 41 დადგენილებით დაკავებულობის კოეფიციენტი საცხოვრებელი ფუნქციისთვის

ხოლო ბინების მიხედვით 172 ადამიანს

არქიტექტურული პროექტი (ვერსია 2)		*ცხრილი 3*
ბინების რაოდენობა		68
1 საძინებლიანი ბინების რაოდენობა	A	32
2 საძინებლიანი ბინების რაოდენობა	B	36
მაცხოვრებელების რაოდენობა	D	D = A*2+B*3 D=32*2+36*3=172

შესაბამისად ამ ორი მეთოდით დათვლილი მაცხოვრებლებიდან ვიღებთ უდიდეს მნიშვნელობას 260 მაცხოვრებელს

ვიზიტორთა რაოდენობა საოფისე ფუნქციის გათვალისწინებით შეადგენს 249 ადამიანს:

არქიტექტურული პროექტი		*ცხრილი 2*
კ2 კოეფიციენტის საანაგრიშო ფართობი	B	B=2313,4
დატვირთულობის კოეფიციენტი*	9,3 მ$_2$	
დასაქმებულთა რაოდენობა	D	D=2313,4/9,3=249

3. საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (პერსპექტიული) მგზავრობები



ვინაიდან, საპროგნოზო მგზავრობების მოდალური და სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია, დამუშავებულ იქნა ინფორმაცია, ამჟამად 53–ე მაკროზონიდან მოდალურ და სივრცით გადანაწილებაზე, დილის პიკურ საათებში (8სთ-11 სთ) და საღამოს პიკურ საათში (6სთ-7სთ-მდე), შესაბამისი ფუნქციისა და მოტივის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე (წყარო: SYSTRA-ს 2016 წლის შინამეურნეობების კვლევა).

3.1. საპროექტო ტერიტორიის მიზიდული და გენერირებული მზგავრობების რაოდენობა

გენერირებული მგზავრობები შენობის საცხოვრებელი ფუნქციისთვის განკუთვნილი ნაწილის გათვალისწინებით შეადგენს **122** მგზავრობას

არქიტექტურული პროექტი		
საცხოვრებელი/ სუფთა ფართობი	B	4828
დატვირთულობის კოეფიციენტი	18,6 მ2*	
მაცხოვრებელების რაოდენობა	D	D=4828/18.6=260

* 41 დადგენილებით დაკავებულობის კოეფიციენტი საცხოვრებელი ფუნქციისთვის

მგზავრობები:

მაცხოვრებელთა რაოდენობა	A	260
მობილობის მაჩვენებელი	1.56*	
დღიური მგზავრობების რაოდენობა	B=A*1.56*	B=260*1.56=406
პიკის საათის წილი	30%**	
პიკის საათის მგზავრობების რაოდენობა	C=B*0.3	=122

თბილისის მობილობის საშუალო მაჩვენებელია-1,56 მგზავრობა დღეში*.
მგზავრობების წილი დილის და საღამოს პიკის საათში, რომელიც ორივესთვის ერთი რიცხვია და ერთგვაროვნად გამოითვლება**

მიზიდული მგზავრობები:
მგზავრობების რაოდენობა საოფისე ფუნქციის გათვალისწინებით ვიზიტორთა რაოდენობის იდენტურია და შეადგენს **249** მგზავრობას:

არქიტექტურული პროექტი		*ცხრილი 2*
კ2 კოეფიციენტის საანაგრიშო ფართობი	B	B=2313,4
დატვირთულობის კოეფიციენტი*	9,3 მ$_2$	
დასაქმებულთა რაოდენობა	D	D=2313,4/9,3=249

* 41 დადგენილებით დაკავებულობის კოეფიციენტი საოფისე ფუნქციისთვის

3.2. მგზავრობების მოდალური განაწილება

1) შენობის საცხოვრებელი ფუნქციისთვის განკუთვნილი ნაწილის გათვალისწინებით გენერირებული/მიზიდული მგზავრობები

დილის პიკის საათებში (გენერირებული მგზავრობები)

53-ე მაკროზონიდან 58 მაკროზონაში გენერირებული მოდალური გადანაწილების პროცენტული მაჩვენებელი (მათ შორის თავად 53–ე მაკროზონაში გადაადგილება)



გენერირებული მოდალური გადანაწილება (122 მგზავრობა)



სახეობა		%	122 მგზავრობისთვის
ფეხით სიარული		16.54	20
საზ. ტრანსპორტი	მეტრო	2.72	3
	M3 კატ. ავტობუსი	16.34	20
	M2 კატ. ავტობუსი	17.02	21
მანქანის მძღ.		25.56	31
მანქანის მგზავრ.		14.29	17
ტაქსი		4.51	6
სხვა		3.01	4

საღამოს პიკის საათი (მიზიდული მგზავრობები)

მიუხედავად დაშვების შესაძლებლობისა, რომ საღამოს პიკის საათში მიზიდული მგზავრობების მოდალური განაწილება იქნება მეტწილად ანალოგიური დილის პიკის საათისა, მეტი სიზუსტისთვის გამოკვლეულ იქნა 53–ე მაკროზონისთვის საღამოს პიკის საათის მოდალური გადანაწილების ბუნება, რამაც მოგვცა შემდეგი სურათი:

58 მაკროზონიდან მიზიდული მოდალური გადანაწილების პროცენტული მაჩვენებელი (მათ შორის თავად 53–ე მაკროზონაში გადაადგილება)



მიზიდული მოდალური გადანაწილება (122 მგზავრობა)



სახეობა		%	122 მგზავრობისთვის
ფეხით სიარული		18.60	23
საზ. ტრანსპორტი	მეტრო	6.51	8
	M3 კატ. ავტობუსი	2.17	3
	M2 კატ. ავტობუსი	23.88	29
მანქანის მძღ.		30.23	37
